სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

27 / სექტემბერი / 2024 წ.

KA080182837196324

№ **2645**

განკარგულება

შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საჭიროებისთვის 2024-2025 წლების განმავლობაში საწვავი ბრიკეტების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისია;

ტენდერების ნომრები: CON240000232 და CON240000231;

შესყიდვის ობიექტი: 03400000 – მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები;

პრეტენდენტი: შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგი“ (ს/ნ: 405509221);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 23 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საჭიროებისთვის 2024-2025 წლების განმავლობაში საწვავი ბრიკეტების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2023 წლის 23 აგვისტოს წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 15 და № 16), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებული ტენდერებიდან პრეტენდენტის – შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგის“ (ს/ნ: 405509221) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. პრეტენდენტს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართის office@udabnoorganic.com საშუალებით, 2024 წლის 27 აგვისტოს № 2486 და № 2487 წერილებით აცნობა სააგენტოში სატენდერო კომისიის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე განმარტების წარმოდგენა.

1.3. პრეტენდენტმა 2024 წლის 5 სექტემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 4 სექტემბრის №0309/2 და № 0309/1 განმარტებები (რეგისტრაციის № 7426 და № 7424) CON240000232 და CON240000231

კონსოლიდირებული ტენდერებიდან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

2. სატენდერო კომისიის პოზიცია

2.1. წერილობითი შეტყობინების თანახმად, CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო შპს „უდაბნოს ორგანულმა აგროჰოლდინგმა“ (ს/ნ: 405509221). კონსოლიდირებულ ტენდერებში კონსოლიდირებულ ტენდერში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, გამოცდილების დადასტურების მიზნით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარადგინა შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ (ს/ნ: 405558917) დადებული 2023 წლის 9 ოქტომბრის № 09102023/1 ხელშეკრულება, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული 2023 წლის 20 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

2.2. 2023 წლის 9 ოქტომბრის № 09102023/1 ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „უდაბნოს ორგანულ აგროჰოლდინგსა“ და შპს „ქართულ გრანულებსა და ბრიკეტებს“ შორის, რომლის საგანსაც წარმოადგენს რიგი საჯარო სკოლების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო საწვავი ბრიკეტების შესყიდვა, ამავე ხელშეკრულების დანართ № 1-ში მითითებულია საქონლის მიწოდების ადგილები და თითოეული სკოლისთვის საჭირო რაოდენობები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეებს შორის მიღებაჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია შემსყიდველს (შპს „ქართული გრანულები და ბრიკეტები“) და შესყიდვის ობიექტის მიმღებ სკოლას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

2.3. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის მიერ საწვავის ბრიკეტების მიწოდების ადგილების ჩამონათვალში მითითებული რიგი საჯარო სკოლებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ მათ შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ 2023 წლის 9 ოქტომბრიდან – 20 დეკემბრის ჩათვლით არ გაუფორმებიათ საწვავი ბრიკეტების შესყიდვის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტები.

2.4. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ 2024 წლის 14 აგვისტოს №CON240000232-2 და №CON240000231-2 სხდომის ოქმებით შპს „უდაბნოს ორგანულ აგროჰოლდინგს“ (ს/ნ: 405509221), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების“ მე-17 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე, მისცა დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტის განმარტებით, მან CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში გამოცდილების დადასტურების მიზნით წარადგინა № 09102023/1 ხელშეკრულება თანდართული დოკუმენტებით და მის საფუძველზე გაფორმებული 2 მიღება-ჩაბარების აქტით და ასევე შემოსავლების სამსახურიდან (rs.ge) ამოღებული სასაქონლო ზედნადებები, რომლებითაც დაადასტურა 1 479 168 ლარის ღირებულების საწვავი ბრიკეტების რეალიზაციისა და 539 906 ლარის ღირებულების ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის ფაქტი. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, „ხელშეკრულება № 09102023/1 საფუძველზე, შპს „უდაბნოს ორგანულმა აგროჰოლდინგმა“ შეასრულა, ხოლო შპს „ქართულმა გრანულებმა და ბრიკეტებმა“ ჩაიბარა საწვავი ბრიკეტების მიწოდებისა და დარიგების ლოგისტიკური ოპერაციები და სხვა მოქმედებები შემსყიდველის მიერ წარდგენილ ობიექტებზე (2023 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულება № 09102023/1-ის დანართ № 1-ში მოცემული მისამართების მიხედვით)“. შპს „უდაბნოს ორგანულ აგროჰოლდინგსა“ და შპს „ქართულ გრანულებსა და ბრიკეტებს“ შორის ურთიერთთანამშრომლობიდან აშკარად ჩანს შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგის“ გამოცდილება CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებული ტენდერების 2.2.1. პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად. პრეტენდენტი მიუთითებს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებზე მის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ მას საჯარო სკოლებთან მიღება-ჩაბარების აქტები არ გაუფორმებია, და აღნიშნავს, რომ აღნიშნული მისთვის გაუგებარია, რადგან CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებული ტენდერების პირობებიდან გამომდინარე არსად არ იყო მოთხოვნილი შემსყიდველი კომპანიის მიერ საწვავი ბრიკეტების დარიგებისა და მიწოდების შემდგომი ოპერაციების განმარტება. პრეტენდენტი ასვე აღნიშნავს, რომ მან მიმართა შპს „ქართულ გრანულებსა და ბრიკეტებს“ და გამოითხოვა ინფორმაცია საწვავი ბრიკეტების მიწოდებასთან დაკავშირებით, სადაც ცალსახად ჩანს, რომ შპს „ქართულმა გრანულებმა და ბრიკეტებმა“ პირდაპირი თუ მათი კონტრაქტორი კომპანიების მეშვეობით მოახდინა საწვავი ბრიკეტების მიწოდება 2023 წლის 9 ოქტომბრის №09102023/1 ხელშეკრულების დანართ №1-ში მოცემული მისამართების მიხედვით.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 15 ივლისს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საჭიროებისთვის 2024-2025 წლების განმავლობაში საწვავი ბრიკეტების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიამ გამოაცხადა CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებული ტენდერები მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტების (CPV03400000) შესყიდვის მიზნით.

4.2. CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო შპს „უდაბნოს ორგანულმა აგროჰოლდინგმა“ (ს/ნ: 405509221).

4.3. CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1.1 პუნქტის თანახმად, პრეტენდენტს 2021 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადების თარიღამდე უნდა ჰქონდეს საწვავი ბრიკეტების მიწოდების გამოცდილება ტენდერის სავარაუდო ღირებულების არანაკლებ 50%-ისა. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს საწვავი ბრიკეტების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულება/ხელშეკრულებები და მათ საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი (თუ მხოლოდ მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტიდან ირკვევა საწვავი ბრიკეტების მიწოდება, მაშინ აუცილებელი არ არის ხელშეკრულების წარდგენა), ან/და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემები (SPA/NAT/CON/CMR… ნომრები, რომელშიც ატვირთული იქნება შესაბამისი დოკუმენტები ან/და ინფორმაცია), ან/და საგადასახადო დოკუმენტები, სასაქონლო ზედნადები ან საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ან აუდიტორული ფირმების ან/ და აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნაში მითითებული უნდა იყოს დასკვნის გამცემი პირის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი და აღნიშნული უნდა იძებნებოდეს https://www.saras.gov.ge ვებ-გვერდზე შესაბამის რეესტრში), რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ პრეტენდენტს ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში გააჩნია მოთხოვნილი ღირებულების საწვავი ბრიკეტების მიწოდების გამოცდილება.

4.4. პრეტენდენტმა 2024 წლის 23 ივლისს CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში კონსოლიდირებულ ტენდერში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, გამოცდილების დადასტურების მიზნით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარადგინა შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ (ს/ნ: 405558917) დადებული 2023 წლის 9 ოქტომბრის № 09102023/1 ხელშეკრულება, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული 2023 წლის 20 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

4.5. 2023 წლის 9 ოქტომბრის №09102023/1 ხელშეკრულების 2.1. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს რიგი საჯარო სკოლების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო საწვავი ბრიკეტების შესყიდვა, ინფორმაცია საქონლის დასახელების, ტექნიკური მახასიათებლების, ჯამური რაოდენობის, ერთეულისა და ჯამური ღირებულების შესახებ მოცემულია ფასთა ცხრილში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი № 1, დანართი № 2 და მიღება-ჩაბარების აქტი).

4.6. № 09102023/1 ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელმა (შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგი“) შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად, 60 კალენდარულ დღეში. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილები და თითოეული სკოლისთვის საჭირო რაოდენობები მითითებულია დანართ № 1-ში და მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება. ამავე ხელშეკრულების 6.2. პუნქტით, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია შემსყიდველს (შპს „ქართული გრანულები და ბრიკეტები“) და შესყიდვის ობიექტის მიმღებ სკოლას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

4.7. სატენდერო კომისიამ 2023 წლის 2 აგვისტოს №CON240000232-1 და №CON240000231-1 სხდომის ოქმებით პრეტენდენტს, სხვა საკითხებთან ერთად, ეცნობა, რომ:

– 2023 წლის 9 ოქტომბრის № 09102023/1 ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე 2023 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგის“ დირექტორი არის ვ.კ. (2024 წლის 28 თებერვალს გამოწერილ საგადასახადო ანგარიშფაქტურაზეც დასმულია იგივე ხელმოწერა, რაც ზემოხსენებულ დოკუმენტებზე), თუმცა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან 2023 წლის 13 ივნისის ამონაწერების მიხედვით, ზემოაღნიშნული თარიღებისათვის/პერიოდისათვის შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგის“ დირექტორად, ისევე როგორც 100%-ის წილის მფლობელად ფიქსირდება ა.ს., რომელიც იმავდროულად წარმოადგენს გარიგების მეორე მხარის – შპს „ქართული გრანულები და ბრიკეტების“ დირექტორსა და 34%-ის წილის მფლობელს. შესაბამისად, გაურკვეველია ზემოხსენებული დოკუმენტების ხელმოწერის თარიღებში ჰქონდა თუ არა ვ.ს.-ს ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარდგენილ ხელშეკრულებაზე, მიღება-ჩაბარების აქტსა და საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

– №09102023/1 ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებულია, რომ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი №1, დანართი №2 და მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, თუმცა, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ ხელშეკრულებას თან ერთვის მხოლოდ დანართი № 2 (ფასების ცხრილი). ამასთან, ბუნდოვანია, ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე რა სახის მიღება-ჩაბარების აქტის არსებობაზე მიუთითებდნენ მხარეები;

– № 09102023/1 ხელშეკრულების 2.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 769 083,57 ლარს, თუმცა ხელშეკრულების დანართი № 2-ის (ფასების ცხრილი) მიხედვით, ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2 025 674 ლარს, ხოლო საქონლის რაოდენობა - 1 858 ტონას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნდოვანია, რამ გამოიწვია სხვაობა ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებულ ჯამურ ღირებულებასა და დანართი № 2-ით განსაზღვრულ ფასთა ცხრილში მითითებულ ჯამურ ღირებულებას შორის;

– პრეტენდენტის მიერ წარდგენილია შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგის“ მიერ გადაგზავნილი, ხოლო შპს „ქართული გრანულებისა და ბრიკეტების“ მიერ დაუდასტურებელი საგადასახადო ანგარიშფაქტურა, რომლის მიხედვითაც იკვეთება, რომ შპს „უდაბნოს ორგანულმა აგროჰოლდინგმა“

გასწია 539 906 ლარის გადაზიდვის, დარიგებისა და სატვირთო მომსახურება, თუმცა წარდგენილი ანგარიშფაქტურით ვერ დასტურდება 539 906 ლარის ღირებულების საწვავი ბრიკეტების მიწოდების გამოცდილება სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნული სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებით პრეტენდენტს ეთხოვა სატენდერო წინადადებების დაზუსტება.

4.8. პრეტენდენტმა 2024 წლის 6 აგვისტოს CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარადგინა № 09102023/1 ხელშეკრულება თანდართული დოკუმენტებით, მათ შორის, საწვავის ბრიკეტების მიწოდების ადგილების ჩამონათვალი, 2023 წლის 11 ოქტომბრისა და 12 დეკემბრის დამატებითი შეთანხმებები № 09102023/1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ და ამავე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული 2 მიღება-ჩაბარების აქტი.

4.9. სატენდერო კომისიამ დამატებით გამოთხოვა ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ საწვავის ბრიკეტების მიწოდების ადგილების ჩამონათვალში მითითებული რიგი საჯარო სკოლებიდან 2023 წლის 9 ოქტომბრიდან – 20 დეკემბრის ჩათვლით ჰქონდათ თუ არა მათ შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ საწვავი ბრიკეტების შესყიდვის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომლის პასუხადაც:

– სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბნის საჯარო სკოლის“ 2024 წლის 12 აგვისტოს ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით ეცნობა, რომ 2023 წლის 9 ოქტომბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით მას არ აქვს შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ საწვავი ბრიკეტის შესყიდვის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი;

– სსიპ „მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის“ 2024 წლის 12 აგვისტოს ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით ეცნობა, რომ მას არასდროს ჰქონია შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ საწვავი ბრიკეტის შესყიდვის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი;

– სსიპ „ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის“ 2024 წლის 12 აგვისტოს ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით ეცნობა, რომ მას შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება და არც მიღება ჩაბარების აქტები;

– სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისის საჯარო სკოლის“ 2024 წლის 12 აგვისტოს ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით ეცნობა, რომ მას შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ საწვავი ბრიკეტის შესყიდვის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტები არ აქვს გაფორმებული;

– სსიპ „ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის“ 2024 წლის 12 აგვისტოს ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით ეცნობა, რომ მას 2023 წელს საწვავი ბრიკეტების ნაწილი უსასყიდლოდ მიაწოდეს, ხოლო ნაწილი ბრიკეტები შეისყიდა შპს „კერასგან“;

– სსიპ „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ტურცხის საჯარო სკოლის“ 2024 წლის 12 აგვისტოს ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით ეცნობა, რომ მას 2023 წლის 9 ოქტომბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ ხელშეკრულება არ გაუფორმებია და აღნიშნული კომპანიისგან ბრიკეტები არ შეუსყიდია.

4.10. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ 2024 წლის 14 აგვისტოს №CON240000232-2 და №CON240000231-2 სხდომის ოქმებით შპს „უდაბნოს ორგანულ აგროჰოლდინგს“ (ს/ნ: 405509221), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების“ მე-17 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე, მისცა დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.11. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი შპს „ქართულ გრანულებისა და ბრიკეტების“ 2024 წლის 20 აგვისტოს №01/20 წერილში აღნიშნულია, რომ მან 2023 წლის 9 ოქტომბრის №09102023/1 ხელშეკრულების ფარგლებში საწვავის ბრიკეტების რეალიზაცია განახორციელა როგორც პირდაპირი, ასევე სხვა კონტრაქტორი კომპანიების მეშვეობით, რომლებმაც გაიმარჯვეს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, ამავე ხელშეკრულების დანართ №1-ში მოცემული მისამართების მიხედვით.

4.12. პრეტენდენტის მიერ განმარტებას დართული შპს „უდაბნოს ორგანულ აგროჰოლდინგსა“ და შპს „ქართულ გრანულებსა და ბრიკეტებს“ შორის გაფორმებული 2023 წლის 11 ოქტომბრის №1/1 შეთანხმების თანახმად, შეიცვალა მხარეთა შორის გაფორმებული № 09102023/1 ხელშეკრულების 6.2 პუნქტი და განისაზღვრა, რომ შემსყიდველსა ((შპს „ქართული გრანულები და ბრიკეტები“) და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია მიმწოდებელსა და შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი. ამასთან, იმავე შეთანხმებას შპს „უდაბნოს ორგანულ აგროჰოლდინგის“ მხრიდან ხელს აწერს დირექტორი ვ. კ., ხოლო შპს „ქართულ გრანულებისა და ბრიკეტების“ მხრიდან – დირექტორი ა. ს.

4.13. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2023 წლის 13 ივნისის ამონაწერით დგინდება, რომ ამ განკარგულების 4.11 პუნქტში მითითებული შეთანხმების გაფორმებისას შპს „უდაბნოს ორგანულ აგროჰოლდინგის“ (ს/ნ: 405558917) დირექტორს წარმოადგენდა – ა.ს. (რომელიც იმავე რეესტრიდან 2023 წლის 13 ივნისის №B23083448 ამონაწერის მიხედვით, შეთანხმების

გაფორმების დროისთვის ასევე წარმოდგენდა შპს „ქართული გრანულებსა და ბრიკეტების“ (ს/ნ: 405558917) დირექტორს).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება ამ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მასთან დადებული ხელშეკრულებების ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეწყვეტის თაობაზე.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის № 14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების“ მე-17 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პრეტენდენტი, რომელიც გამარჯვებულად გამოვლენის მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7.4. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს პრეტენდენტის მიერ გამოცდილების დადასტურების მიზნით CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში წარდგენილ მასსა და შპს „ქართულ გრანულებსა და ბრიკეტებს“ შორის გაფორმებულ 2023 წლის 9 ოქტომბრის №09102023/1 ხელშეკრულებაზე, რომლის საგანსაც წარმოადგენს რიგი საჯარო სკოლების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო საწვავი ბრიკეტების შესყიდვა, ამავე ხელშეკრულების დანართ № 1-ში მითითებულია საქონლის მიწოდების ადგილები და თითოეული სკოლისთვის საჭირო რაოდენობები. ამასთან, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია შემსყიდველს (შპს „ქართული გრანულები და ბრიკეტები“) და შესყიდვის ობიექტის მიმღებ სკოლას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი. საგულისხმოა, რომ სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის მიერ საწვავის ბრიკეტების მიწოდების ადგილების ჩამონათვალში მითითებული რიგი საჯარო სკოლებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ მათ შპს „ქართულ გრანულებთან და ბრიკეტებთან“ 2023 წლის 9 ოქტომბრიდან – 20 დეკემბრის ჩათვლით არ გაუფორმებიათ საწვავი ბრიკეტების შესყიდვის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტები. რაც შეეხება განმარტების დანართად წარმოდგენილ 2023 წლის 11 ოქტომბრის № 1/1 შეთანხმებას, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შეთანხმების თანახმად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ერთ მხარესა და მეორე მხარის წარმომადგენელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, რაც გაუგებარი პირობაა და არ ცვლის სატენდერო კომისიის მიერ მოკვლეულ ზემოხსენებულ გარემოებებს. ამგვარად, მოცემული გარემოებებისა და მსჯელობის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენილ იქნა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რის გამოც არსებობს შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგის“ შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ სატენდერო კომისიის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგმა“ (ს/ნ: 405509221) CON240000232 და CON240000231 კონსოლიდირებულ ტენდერებში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, მოცემული დარღვევების გათვალისწინებით, შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „უდაბნოს ორგანული აგროჰოლდინგი“ (ს/ნ: 405509221) 2024 წლის 30 სექტემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი